



საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

უზენაესი სასამართლოს პლენუმის მონიტორინგის ანგარიში



უზენაესი სასამართლოს კვლევის მონიტორინგის ანგარიში

კვლევის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იყო გაწეული. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. ის შეიძლება არ ასახავდეს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის, USAID-ის ან აშშ-ს მთავრობის შეხედულებებს.



USAID
ამერიკელი ხალხისგან

EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE
კანონის უზენაესობის მხარდაჭერა
საქართველოში (PROLoG)

თბილისი
2021

კვლევის ხელმძღვანელი: ვახუშტი მენაბდე

ავტორი: თამარ ხუხია

რედაქტორი: ხათუნა ყვირალაშვილი

ტექ. რედაქტორი: ირაკლი სვანიძე

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება
კომერციული მიზნით, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წერილობითი
ნებართვის გარეშე.

ჯ. კახიძის ქ. #15, თბილისი, საქართველო

(+995 32) 295 23 53, 293 61 01

www.gyla.ge

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. კვლევის მეთოდოლოგია	4
1.1. კვლევის მიზნები და სუბიექტი	4
1.2. კვლევის მეთოდები, ინსტრუმენტები და წყაროები	4
1.3. საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტები და გამოცდილება	5
2. ძირითადი მიზნები	7
3. პლენუმის შემადგენლობა	8
4. პლენუმის სხდომის მოწვევა	10
5. გადაწყვეტილების მიღების წესი	10
6. მოსამართლეთა ინფორმირება სხდომისა და განსახილველი საკითხების შესახებ	11
7. პლენუმის მუშაობის საჭაროობა	12
7.1. სხდომის საჯაროობა	12
7.2. გადაწყვეტილებათა პროაქტიულად გამოქვეყნება, ინფორმაციის განთავსება, აუდიოჩაწერა	14
7.3. საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შესახებ ინფორმაციის საჯაროობა	14
8. უზენაესი სასამართლოს რეგლამენტი	15
9. პლენუმის უფლებამოსილებები და ვალდებულებები	16
9.1. სტრუქტურული ერთეულების შემადგენლობების/თავმჯდომარეების განსაზღვრის უფლებამოსილება	16
9.2. პოლიტიკური შინაარსის უფლებამოსილებები	18
9.3. უზენაესი სასამართლო, როგორც დოქტრინალური ინსტანცია - პლენუმის როლი	20
9.4. ადმინისტრაციული ხასიათის უფლებამოსილებები	21
10. მართლმსაჯულების მდგომარეობის შესახებ ანგარიში	23
11. რეკომენდაციები	23

1. კვლევის მეთოდოლოგია

1.1. კვლევის მიზნები და სუბიექტი

მესამე ტალღის რეფორმების შედეგად, სასამართლო სისტემაში, მათ შორის უზენაეს სასამართლოში, არაერთი ცვლილება შევიდა. მოსამართლეები ინიშნებიან უკუდოდ, მათი რიცხვი კი 28-მდე გაიზარდა.¹ 2019 წლის ბოლოს საკასაციო ინსტანცია მნიშვნელოვნად განახლდა. 2018-2019 წლებში მათი შერჩევა კრიტიკის საგანი გახდა. სამოქალაქო სექტორი,² საერთაშორისო ორგანიზაციები³ და საქართველოს სახალხო დამცველი⁴ პროცესს უარყოფითად აფასებდნენ. ეჭვქვეშ დადგა არჩეულთა კვალიფიკაცია და კეთილსინდისიერება. ამ ფონზე განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს უზენაესი სასამართლოს პლენუმის მუშაობა.

პლენუმი იღებს გადაწყვეტილებებს ისეთ მნიშვნელოვან თემებზე, როგორებიცაა: საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების, ასევე პალატების შემადგენლობებისა და თავმჯდომარეების არჩევა, საერთაშორისო ხელშეკრულებებთან დაკავშირებით რეკომენდაციების წარდგენა და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ კანონი სტატუსს არ აზუსტებს, უფლებამოსილებების ანალიზი ცხადყოფს, რომ მისი მანდატი სცდება მესამე ინსტანციას და მთლიანად საერთო სასამართლოების სისტემასთან დაკავშირებულ საკითხებსაც ითავსებს.

უფლებამოსილებათა ფართო სპექტრი მხოლოდ „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის ერთ მუხლშია რეგლამენტირებული. არ არსებობს საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე აქტი, რომელიც უფრო მკაფიოდ დაარეგულირებდა და განმარტავდა პლენუმის როლსა თუ საქმიანობას. ანალიზის შესაძლებლობას ნაკლებად იძლევა პრაქტიკა და დოქტრინალური წყაროები, რომლებიც ამ მიმართულებით მწირია. ამ პირობებში კვლევის მიზანია პლენუმის საქმიანობის მარეგულირებელი ნორმების შესწავლა⁵ და საანგარიშო პერიოდში მათი იმპლემენტაციის მონიტორინგი, ძირითადი ხარვეზების გამოვლენა და შესაბამისი რეკომენდაციების შეთავაზება.

1.2. კვლევის მეთოდები, ინსტრუმენტები და წყაროები

ნაშრომი ეფუძნება კვლევის დოქტრინალურ, არადოქტრინალურ და შედარებითსამართლებრივ მეთოდებს. დოქტრინალური მეთოდის შესაბამისად, შესწავლილია არსებული ნორმატიული ჩარჩო, როგორც საკანონმდებლო, ისე კანონქვემდებარე აქტები და ამ აქტებთან დაკავშირებული მეორადი წყაროები. რაც შეეხება არადოქ-

¹ საქართველოს ორგანული კანონი საერთო სასამართლოების შესახებ, მე-14 მუხლის მე-3 პუნქტი.

² ვრცლად იხ. „იურიდიულ კომიტეტში უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების მოსმენის პროცესის შეფასება“, კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/2YguEKT>, განახლებულია: 10.03.2021.

³ ვრცლად იხ. „საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა წარდგენისა და დანიშვნის მეორე ანგარიში“, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი, OSCE-ის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3tej8wj>, განახლებულია: 11.03.2021.

⁴ ვრცლად იხ. „სახალხო დამცველი უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის წესის არაკონსტიტუციურად ცნობას ითხოვს“, სახალხო დამცველის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/38Ennjz>, განახლებულია: 14.03.2021.

⁵ კანონმდებლობის ანალიზი არსებითად მოცემულია კვლევაში: კუკავა ე; ტალახაძე მ; ნოზაძე ნ; ბახმაირი ლ; „საქართველოს უზენაესი სასამართლოს ინსტიტუციური და სამართლებრივი ჩარჩოს ანალიზი“, IDFI, GYLA, თბილისი, 2020, საიას ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2AHeSPZ>, განახლებულია: 14.03.2021.

ტრინალურ მეთოდს, ანგარიშში გამოკვეთილია პლენუმის საქმიანობასთან დაკავშირებული პრობლემები (პრობლემის კვლევა) და ამ ხარვეზების აღმოსაფხვრელად შემუშავებულია წინადადებები (სარეფორმო კვლევა). ანგარიშის ნაწილი ეთმობა შედარებითსამართლებრივი მეთოდით მოძიებულ ინფორმაციას.

საიამ კვლევისას გამოიყენა შემდეგი ინსტრუმენტები და წყაროები:

- საკანონმდებლო აქტები;
- ოფიციალური კორესპონდენციით მიღებული, ასევე ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია;
- ინტერვიუები უზენაესი სასამართლოს ყოფილ და მოქმედ მოსამართლეებთან, ასევე დამოუკიდებელ ექსპერტებთან;⁶
- პლენუმის სხდომების მონიტორინგის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია.

1.3. საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტები და გამოცდილება

პლენუმის უფლებამოსილებათა ანალიზისთვის აუცილებელია საერთაშორისო გამოცდილების გააზრება. სწორედ ამიტომ, დოკუმენტის მნიშვნელოვანი ნაწილი სხვა სახელმწიფოთა პრაქტიკის შესწავლას ეთმობა.

კვლევის მიზნებისთვის შეირჩა ქვეყნები, რომელთა საბოლოო ინსტანციის სასამართლოებში მოქმედებს პლენუმის მსგავსი ინსტიტუტი. ნაშრომი, ძირითადად, ეყრდნობა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების გამოცდილებას, თუმცა აქვე განხილულია იმ ქვეყნების მაგალითები, რომელთა თანამედროვე სამართლებრივი სისტემა, მათ შორის, უზენაესი სასამართლოს ინსტიტუციური მოწყობა საქართველოსთან თანადროულად და მსგავსი სცენარით ჩამოყალიბდა.

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები

ბულგარეთი უნიტარული სახელმწიფოა.⁷ საკონსტიტუციო მართლმსაჯულება დამოუკიდებელია საერთო სასამართლოთა სისტემისგან და ამ ფუნქციას საკონსტიტუციო სასამართლო ახორციელებს.⁸ სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებში - საერთო სასამართლოების სამსაფუხურიანი სისტემა,⁹ ხოლო ადმინისტრაციული საქმეების შემთხვევაში ორი ინსტანცია მოქმედებს.¹⁰ ორივეგან, უზენაეს საკასაციო სასამართლოსა და უზენაეს ადმინისტრაციულ სასამართლოში, მოქმედებს პლენუმი.¹¹ მისი უფლებამოსილებები,¹² შემადგენლობა,¹³ გადაწყვეტილებათა მიღების

⁶ უზენაესი სასამართლოს მოქმედი მოსამართლეები: ნინო ბაქაძური, ეკატერინე გასიტაშვილი; უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლეები: თეიმურაზ თოდრია, ნუნუ კვანტალიანი; დამოუკიდებელი ექსპერტები: სოფო ვერძელი (სოციალური სამართლიანობის ცენტრის მართლმსაჯულებისა და დემოკრატიის პროგრამის დირექტორი 2015-2019 წლებში) კახა წიქარიშვილი (უფლებები საქართველოს მართლმსაჯულების პროგრამების კოორდინატორი).

⁷ Encyclopedia Britanica, national political systems, unitary nation-states, Britanica-ს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/3qUisL7>, განახლებულია: 14.03.2021.

⁸ Constitution of the republic of Bulgaria, Article 147.

⁹ Judiciary system act, Article 10, cl. 2.

¹⁰ იქვე, cl. 3.

¹¹ Judiciary System Act, Article 111; Judiciary System Act, Article 119.

¹² იქვე.

¹³ Judiciary System Act, Article 111; Judiciary System Act, Article 121.

წესი¹⁴ იდენტურია. ძირითადი ფუნქციები ადმინისტრაციულ საკითხებს უკავშირდება, რომლებსაც პლენუმი სასამართლოს თავმჯდომარესთან იყოფს.

ესტონეთი უნიტარული სახელმწიფოა.¹⁵ სამსაფეხურიანი სასამართლო სისტემის სათავეში უზენაესი სასამართლო დგას.¹⁶ საკონსტიტუციო კონტროლს მისივე ერთ-ერთი პალატა ახორციელებს.¹⁷ პლენუმის უფლებამოსილებებს ასრულებს უზენაესი სასამართლო *en benk*.¹⁸ ფუნქციები, შესაძლოა, დაიყოს ორ ჯგუფად: 1. სამოსამართლო - გადაწყვეტილებათა გადასინჯვა, მოსამართლის საკვალიფიკაციო და დისციპლინურ წარმოებასთან დაკავშირებული საქმეები და ა.შ. 2. ადმინისტრაციული თუ პოლიტიკური ფუნქციები, მოსამართლის კანდიდატურების წარდგენა რესპუბლიკის პრეზიდენტისთვის და ა.შ.¹⁹

ჩეხეთის ტერიტორიული მოწყობის ფორმა უნიტარულია.²⁰ კონსტიტუციის დაცვას უზრუნველყოფს საკონსტიტუციო სასამართლო.²¹ საერთო სასამართლოების სისტემაში სამოქალაქო, კომერციული და სისხლის სამართლის მიმართულებით სამი ინსტანციაა, ხოლო ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით - ორი. შესაბამისად, უზენაესი სასამართლოც ორია: უზენაესი სასამართლო და უზენაესი ადმინისტრაციული სასამართლო.²² პლენუმი ორივეს შემადგენლობაშია.²³ ფუნქციებიც მსგავსია, მაგალითად, სასამართლოს პროცედურული წესების განსაზღვრა²⁴ და ა.შ.²⁵

ლატვია ტერიტორიული მოწყობის ფორმით უნიტარული სახელმწიფოა.²⁶ ქვეყანაში ფუნქციონირებს საკონსტიტუციო სასამართლო.²⁷ საერთო სასამართლოების სისტემა ერთიანია - სულ სამი ინსტანცია, რომელთაგანაც საბოლოო უზენაესი სასამართლოა.²⁸ ის იკრიბება პლენარულ სესიაზე,²⁹ რომელზეც იღებს ისეთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს, როგორებიცაა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში კანდიდატის განწესება, საკონსტიტუციო სასამართლოში მოსამართლის დანიშვნა, დისციპლინური ტრიბუნალის არჩევა.³⁰

¹⁴ იქვე.

¹⁵ European committee of the Regions, Division of Powers, Estonia, CoR-ის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/2PTk8aC>, განახლებულია: 14.03.2021.

¹⁶ Judicial systems in Member States – Estonia, Organisation of justice – judicial systems, Hierarchy of courts, EU-ს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/3vnUM5e>, განახლებულია: 14.03.2021.

¹⁷ Courts Act of Estonia, Article 29.

¹⁸ The Supreme Court of Estonia, გვ. 13; სასამართლოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2Oudur8>, განახლებულია: 12.03.2021.

¹⁹ იქვე.

²⁰ The Constitution of the Czech Republic, Article 1.

²¹ იქვე, Article 83.

²² Judicial systems in Member States - Czech Republic, Court hierarchy, EU-ს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/3bMwjyy>, განახლებულია: 14.03.2021.

²³ Code of Administrative Justice, Article 20; The Supreme Court of the Czech Republic, Nejvyšší soud, უზენაესი სასამართლოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/3lhCOFL>, განახლებულია: 14.03.2021.

²⁴ Code of Administrative Justice, Article 21; The Supreme Court of the Czech Republic, Nejvyšší soud.

²⁵ ტექსტის ძირითად ნაწილში განხილულია უზენაესი ადმინისტრაციული სასამართლო.

²⁶ Administrative territorial structure and reforms in Latvia: გვ. 2; უზენაესი სასამართლოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3eBW8mj>, განახლებულია: 14.03.2021.

²⁷ The Constitution of the Republic of Latvia, section 85.

²⁸ იქვე, section 82.

²⁹ About the judiciary, Article 49.

³⁰ იქვე.

სახელმწიფოები, რომლებიც ევროკავშირის წევრები არ არიან

უკრაინა უნიტარული სახელმწიფოა.³¹ ცალკე ინსტიტუტად არსებობს საკონსტიტუციო სასამართლო.³² აქ სულ სამი ინსტანციაა, რომლის სათავეშიც დგას უზენაესი სასამართლო.³³ მისი პლენუმი არის კოლეგიური ორგანო, რომელიც შედგება უზენაესი სასამართლოს ყველა მოსამართლისგან.³⁴ პლენუმის უფლებამოსილებები საკმაოდ ფართოა და არ შემოიფარგლება მხოლოდ ადმინისტრაციული ფუნქციებით.³⁵

აზერბაიჯანის ტერიტორიული მოწყობის ფორმა უნიტარულია.³⁶ საკონსტიტუციო და საერთო სასამართლოები ერთმანეთისგან დამოუკიდებლები არიან.³⁷ ქვეყანას აქვს საერთო სასამართლოების სამსაფეხურიანი სისტემა, რომლის სათავეშიც უზენაესი სასამართლოა.³⁸ მის შემადგენლობაში შედის პლენუმი, რომელიც ანაწილებს პალატებში მოსამართლეებს, განიხილავს პრეზიდენტის შუამდგომლობას მოსამართლეების გათავისუფლების შესახებ და აქვს სხვა მნიშვნელოვანი უფლებამოსილებები.³⁹

კვლევის ფარგლებში ასევე შესწავლილია საერთაშორისო ორგანიზაციების, ვენეციის კომისიისა და ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს მიერ მომზადებული დოკუმენტები.

2. ძირითადი მიგნებები

კვლევის საფუძველზე იდენტიფიცირებულია შემდეგი მიგნებები:

- პლენუმში სააპელაციო სასამართლოების თავმჯდომარეების ყოფნა რაციონალურ არგუმენტებს არ ემყარება;
- არ არის დადგენილი, მოსამართლეთა მოთხოვნიდან რამდენ ხანში უნდა დაინიშნოს პლენუმის სხდომა;
- კანონი არ განსაზღვრავს, რამდენი ხნით ადრე უნდა ეცნობოს პლენუმის წევრებს სხდომის შესახებ, როდის უნდა მიეწოდოს მათ საჭირო დოკუმენტაცია გადწყვეტილების მისაღებად. დამკვიდრებული პრაქტიკა არათანმიმდევრულია;
- არ არის განსაზღვრული, როდის უნდა გამოქვეყნდეს ინფორმაცია იმ კანდიდატთა შესახებ, რომლებსაც პლენუმი თანამდებობაზე ნიშნავს;
- პლენუმს არ აქვს ვალდებულება, გონივრული ვადით ადრე განათავსოს საკუთარი სხდომების შესახებ ინფორმაცია. ყველა ინდივიდუალურ შემთხვევაში ამას თავმჯდომარე განსაზღვრავს;

³¹ European committee of the Regions, Division of Powers, Ukraine, CoR-ის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/2NicYMn>, განახლებულია: 14.03.2021.

³² Constitution of Ukraine, Article 124.

³³ Law of Ukraine on the Judiciary and Status of Judges, Article 17, cl. 2.

³⁴ იქვე, Article 46.

³⁵ იქვე.

³⁶ Azerbaijan-unitary country, Main features of territorial organization, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3ctSCs7>, განახლებულია: 14.03.2021.

³⁷ Helsinki Foundation for Human Rights „The Functioning of the and its Impact on the Judicial System in Azerbaijan Right to a Fair Trial of Human Rights Defenders“, III. 5. Organization of the judiciary, 2016, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3vmblyn>, განახლებულია: 14.03.2021.

³⁸ იქვე.

³⁹ Structure and Powers of the Plenum of the Supreme Court, უზენაესი სასამართლოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/30ICm0Y>, განახლებულია: 14.03.2021.

- პლენუმის სხდომები, როგორც წესი, ღიაა, თუმცა ფართოა პლენუმის დისკრეცია, სხდომა დაიხუროს;
- ვებგვერდზე არ ქვეყნდება პლენუმის სხდომის ოქმები. ზოგიერთ შემთხვევაში ინფორმაცია იღება მხოლოდ პრესრელიზის ფორმით, რაც სრულ სურათს ვერ ქმნის;
- განსაზღვრული არ არის სხდომებზე აუდიოჩანაწერის გაკეთების ვალდებულება და ეს მხოლოდ პლენუმის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული;
- ყველა გადაწყვეტილება მიიღება ერთნაირი კვორუმით. უფლებამოსილებათა მნიშვნელობებს შორის განსხვავებები არ აისახება გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო უმრავლესობაზე;
- უზენაეს სასამართლოს არ აქვს რეგლამენტი, რის გამოც, პლენუმის მუშაობის მნიშვნელოვანი პროცედურული საკითხები რჩება რეგულირების გარეშე;
- საკონსტიტუციო სასამართლოს წევრობის კანდიდატის, ასევე დიდ პალატაში მოსამართლეების პლენუმისთვის წარდგენის უფლება აქვს მხოლოდ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს;
- მიუხედავად იმისა, რომ პლენუმს საპროცესო უფლებამოსილებები არ გააჩნია, მას საკონსტიტუციო სასამართლოსთვის წარდგინებით მიმართვის შესაძლებლობა აქვს;
- პლენუმის უფლებამოსილება, რეკომენდაციით მიმართოს პრეზიდენტსა და მთავრობას საერთაშორისო ხელშეკრულებებთან დაკავშირებით, სცდება მის ინსტიტუციურ როლს;
- პლენუმი განსაზღვრავს მოსამართლეებისთვის დანამატების გაცემის შესაძლებლობას, რაც ეწინააღმდეგება საერთაშორისო სტანდარტებს და საფრთხეს უქმნის მოსამართლეთა დამოუკიდებლობას;
- არ არის გამიჯნული პლენუმისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ფუნქციები მართლმსაჯულების მდგომარეობის შესახებ საზოგადოების ინფორმირებასთან დაკავშირებით.

3. პლენუმის შემადგენლობა

უზენაესი სასამართლოს პლენუმი შედგება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, მისი პირველი მოადგილისა და მოადგილეების, უზენაესი სასამართლოს წევრებისა და სააპელაციო სასამართლოების თავმჯდომარეებისგან.⁴⁰ აღსანიშნავია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე საანგარიშო პერიოდში არცერთ სხდომას არ დასწრებია.⁴¹

⁴⁰ საერთო სასამართლოების შესახებ კანონი, მე-18 მუხლის 1-ლი პუნქტი.

⁴¹ უზენაესი სასამართლოს პლენუმის 2019 წლის 16 და 19 დეკემბრის სხდომებს არ ესწრებოდნენ მიხეილ ჩინჩალაძე და დიმიტრი გვრიტიშვილი; 2020 წლის 16 იანვრის სხდომას - დიმიტრი გვრიტიშვილი, მიხეილ ჩინჩალაძე, ლალი ფაფიაშვილი; 2020 წლის 3 აპრილის სხდომას - ბესარიონ ალავიძე, ნინო ბაქაური, ეკატერინე გასიტაშვილი, ზურაბ ძლიერიშვილი, პაატა ქათამაძე და მიხეილ ჩინჩალაძე; 2020 წლის 8 მაისის სხდომას - მზია თოდუა და მიხეილ ჩინჩალაძე; 29 მაისის სხდომას - ბესარიონ ალავიძე, გიორგი შავლიაშვილი, მიხეილ ჩინჩალაძე; 4 აპრილის სხდომას - ვლადიმერ კაკაბაძე, მიხეილ ჩინჩალაძე; 22 ოქტომბრის სხდომას - მიხეილ ჩინჩალაძე, ბესარიონ ალავიძე და ლალი ფაფიაშვილი; 2020 წლის 18 დეკემბრის სხდომას - მალვა თაღუმაძე.

პლენუმის შემადგენლობის რელევანტურობასთან დაკავშირებით კითხვები არაერთგზის დასმულა ადგილობრივ, და არა მხოლოდ, დონეზე.⁴² ვენეციის კომისია ვერ ხედავს სააპელაციო ინსტანციების წარმომადგენლობის არსებობის აუცილებლობას. იგი დადებითად აფასებდა პროექტს, რომლის მიხედვით, ეს პირები პლენუმის შემადგენლობაში აღარ შედიოდნენ.⁴³ აღსანიშნავია, რომ მსგავსი პრეცედენტი არ მოიპოვება არცერთ გამოკვლევულ სახელმწიფოში. ბულგარეთის,⁴⁴ ესტონეთის,⁴⁵ ჩეხეთის,⁴⁶ ლატვიის,⁴⁷ უკრაინისა⁴⁸ და აზერბაიჯანის⁴⁹ უზენაეს სასამართლოთა მსგავსი კოლეგიური ორგანოების შემადგენლობაში შედიან მხოლოდ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები.

მიზეზი, რომლის გამოც პლენუმი ამ შემადგენლობით უნდა ფუნქციონირებდეს, არ არსებობს. ამ კოლეგიურ ორგანოს არ აქვს არცერთი უფლებამოსილება, რომელიც შეიძლება სპეციფიკურად სააპელაციო სასამართლოებს უკავშირდებოდეს. არის რამდენიმე კომპეტენცია,⁵⁰ რომლებიც საერთო სასამართლოების მთელ სისტემას ეხება. თუ სააპელაციო სასამართლოების თავმჯდომარეების პლენუმის წევრობა ამ კომპეტენციების არსებობას ეფუძნება, მაშინ მასში იმავე წარმატებით პირველი ინსტანციის სასამართლოების თავმჯდომარეებიც უნდა შედიოდნენ.⁵¹ ეს პირები მონაწილეობენ ყველა გადაწყვეტილების მიღებაში და არა - მხოლოდ იმ საკითხებზე, რომლებიც სასამართლო სისტემას უკავშირდება, რაც კიდევ ერთხელ აჩვენებს, რომ პლენუმში მათი ყოფნა არ გამომდინარეობს ამ ორგანოს კომპეტენციათა არსენალიდან. ამავე დროს, მხოლოდ მესამე ინსტანციის სასამართლოს მოსამართლეებს აქვთ ლეგიტიმაცია, მიიღონ გადაწყვეტილება საკასაციო ინსტანციასთან დაკავშირებულ თემებზე.

ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს წევრობა, სათათბირო ხმით მონაწილეობის უფლება და პლენუმის შესაძლებლობა, მოიწვიოს რომელიმე პირი სხდომაზე. სათათბირო ხმით მონაწილეობა დამკვიდრებული პრაქტიკაა ბულგარეთში,⁵² ესტონეთში,⁵³ ლატვიასა⁵⁴ და ჩეხეთში.⁵⁵ ამ ქვეყნებში კანონმდებლობა განსაზღვრავს პირთა წრეს, რომლებსაც უფლება აქვთ, ნებისმიერ სხდომას დაესწრონ ამგვარი ფორმით. შესაძლებელია, კანონში გაჩნდეს მსგავსი ჩანაწერი, თუმცა პლენუმის შემადგენლობის გაფართოების საჭიროება, უფლებამოსილებათა დღეს მოქმედი არსენალიდან გამომდინარე, არ არსებობს. მეტიც, ამან შეიძლება გაართულოს გადაწყვეტილების მიღება და ნაკლებად პროდუქტიული გახადოს სხდომები.

⁴² კუკავა ქ; ტალახაძე მ; ნოზაძე ნ; ბახმაირი ლ; დასახელებული ნაშრომი, გვ. 61.

⁴³ European Commission For Democracy Through Law (VENICE COMMISSION), Joint opinion of the Venice Commission and the Directorate of Human Rights of the Directorate General of Human Rights and Rule of Law of the Council of Europe on the draft law on amendments to the Organic Law on General Courts of Georgia, Strasbourg, 14 October 2014 CDL-AD(2014)031, Opinion N°773/2014, §84, ვენეციის კომისიის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3gPH0RC>, განახლებულია: 03.06.2020.

⁴⁴ Judiciary System Act of Bulgaria, Article 111.

⁴⁵ Courts Act of Estonia, article 30.

⁴⁶ The Supreme Court of the Czech Republic, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/3lhCofL>, განახლებულია: 14.03.2021.

⁴⁷ Law of the Republic of Latvia On Judicial Power, Section 49.

⁴⁸ Law of Ukraine on the Judiciary and Status of Judges, Article 46.

⁴⁹ Law of the Azerbaijan Republic On Courts and Judges, Article 79.

⁵⁰ ეს უფლებამოსილებებია: საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების დანიშვნა და მართლმსაჯულების მდგომარეობის შესახებ ანგარიშის გამოქვეყნება.

⁵¹ ამ მოსაზრებას ეთანხმება ყველა ინტერვიუებული.

⁵² Judiciary System Act, article 113, cl. 1.

⁵³ Courts Act of Estonia, article 30, cl. 5.

⁵⁴ Plenary Session Manual, Article 4.

⁵⁵ Courts Act of Estonia, Article 30, cl. 5.

საერთო სასამართლოების შესახებ კანონში უნდა შევიდეს ცვლილება, რომელიც პლენუმის შემადგენლობაში მხოლოდ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების ყოფნას დაადგენს.

4. პლენუმის სხდომის მოწვევა

პლენუმის სხდომის მოწვევის წესთან დაკავშირებით სამი საკითხი უნდა გამოიყოს: მოწვევის უფლებამოსილების მქონე სუბიექტი, დანიშვნის ვადა და სიხშირე.

საქართველოში სხდომას იწვევს თავმჯდომარე თავისი ინიციატივით ან წევრთა 1/5-ის მოთხოვნით.⁵⁶ საკუთარი ინიციატივით სხდომის მოწვევის პრაქტიკა დამკვიდრებულია ბულგარეთში,⁵⁷ ესტონეთში,⁵⁸ ლატვიაში,⁵⁹ ჩეხეთში,⁶⁰ უკრაინასა⁶¹ და აზერბაიჯანში.⁶² დამატებით, ჩეხეთში თავმჯდომარე ვალდებულია, სხდომა მოიწვიოს პლენუმის წევრთა 2/3-ის მოთხოვნიდან 1 თვეში.⁶³ იგივე მიდგომაა უკრაინაში, სადაც ამისთვის მოსამართლეთა 1/4-ის სურვილია საკმარისი.⁶⁴

მიუხედავად იმისა, რომ თავმჯდომარეს ევალება, წევრთა შესაბამისი რაოდენობის მოთხოვნის შემთხვევაში სხდომა ჩანიშნოს, ვადა განსაზღვრული არ არის. ეს მას შესაძლებლობას აძლევს, არასასურველი საკითხის განხილვა განუსაზღვრელი დროით გადადოს. **მანიპულაციის თავიდან ასარიდებლად აუცილებელია კონკრეტული ვადის განსაზღვრა და ამით თავმჯდომარის დისკრეციის შეზღუდვა.**

საქართველოში პლენუმი წელიწადში ერთხელ მაინც უნდა შეიკრიბოს.⁶⁵ შედარებისთვის, აზერბაიჯანსა⁶⁶ და უკრაინაში⁶⁷ მისი მოწვევა სავალდებულოა სამ თვეში ერთხელ. საანგარიშო პერიოდში საქართველოში პლენუმის 9 სხდომა ჩატარდა. საიას შეფასებით, ეს შეესაბამება არსებულ საჭიროებას, ამიტომ აუცილებელი არ არის დამატებითი ნორმატიული დათქმა შეკრების სიხშირესთან დაკავშირებით, მით უფრო, რომ წევრებს სხდომის მოწვევის უფლება აქვთ.

5. გადაწყვეტილების მიღების წესი

კვორუმი პლენუმისთვის წევრთა 2/3-ია. გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას დამსწრეთა 2/3 მხარს დაუჭერს.⁶⁸ ეს დებულება წინააღმდეგობაში არ მოდის საერთაშორისო პრაქტიკასთან. ბულგარეთში კვორუმისთვის პლენუმის წევრთა ნახევარია საკმარისი (გადაწყვეტილების მისაღებად დამსწრეთა უმრავლესობაა გათ-

⁵⁶ საერთო სასამართლოების შესახებ კანონი, მე-18 მუხლის მე-5 პუნქტი.

⁵⁷ Judiciary System Act, Article 114, cl. 1.

⁵⁸ Courts Act, article 30, cl. 3.

⁵⁹ Plenary Session Manual, Article 10.

⁶⁰ Code of Administrative Justice, Article 20, cl. 3.

⁶¹ Law of Ukraine on the Judiciary and Status of Judges, Article 46, cl. 5.

⁶² Law of the Azerbaijan Republic On Courts and Judges, Article 83.

⁶³ იქვე.

⁶⁴ Law of Ukraine on the Judiciary and Status of Judges, Article 46, cl. 5.

⁶⁵ იქვე.

⁶⁶ Law of the Azerbaijan Republic On Courts and Judge, Article 80.

⁶⁷ Law of Ukraine on the Judiciary and Status of Judges, Article 46, cl. 5.

⁶⁸ საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, მე-18 მუხლის მე-4 პუნქტი.

ვალისწინებული),⁶⁹ ესტონეთში - 11 წევრი⁷⁰ (გადაწყვეტილება მიიღება უბრალო უმრავლესობით⁷¹), ჩეხეთში - 2/3 (გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა დამსწრეთა უმრავლესობა, ხოლო, თუ საკითხი ეხება სასამართლოს განყოფილებების რაოდენობის განსაზღვრას - აბსოლუტური უმრავლესობა⁷²), ლატვიაში - დამსწრეთა უმრავლესობა⁷³ (თუ გადაწყვეტილება ეხება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ან გენერალური პროკურორის თანამდებობიდან გათავისუფლებას - 2/3⁷⁴), აზერბაიჯანში - 2/3 (გადაწყვეტილებისთვის საჭიროა დამსწრეთა უმრავლესობა, ხოლო, თუ საქმე ეხება გარკვეული კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეებს - 2/3⁷⁵).

6. მოსამართლეთა ინფორმირება სხდომისა და განსახილველი საკითხების შესახებ

კანონი არ განსაზღვრავს, რამდენი ხნით ადრე უნდა ეცნობოს პლენუმის წევრებს სხდომის შესახებ და როდის უნდა მიეწოდოს მათ ინფორმაცია განსახილველ საკითხებზე. დამკვიდრებული პრაქტიკა არათანმიმდევრულია.⁷⁶ სასამართლოში აცხადებენ, რომ „პლენუმის სხდომის ჩატარების შესახებ ინფორმაცია და დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები კანონმდებლობით დადგენილი წესით, შესაძლებლობისთანავე, დაუყოვნებლივ მიეწოდება პლენუმის წევრებს.“⁷⁷ თუმცა, პრაქტიკა მნიშვნელოვან ხარვეზებს ავლენს. პრობლემურობა კარგად გამოჩნდა 2020 წლის 3 აპრილის სხდომაზე, სადაც საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი უნდა დაენიშნათ. მოსამართლეთა ნაწილს არ ჰქონდა ინფორმაცია კანდიდატის შესახებ. „მე ვარ პლენუმის წევრი, ცხადია, იმიტომ, რომ ვარ უზენაესი სასამართლოს მოსამართლე, მაგრამ არ ვიცოდი, ვინ იყო კანდიდატი. პლენუმის სხდომა დაინიშნა სამ აპრილს. ორ აპრილს, საღამოს, შემატყობინეს, როგორც ორგანიზდება ხოლმე, რომ მეორე დღეს იყო სხდომა. ვიკითხე, რა საკითხი განიხილებოდა. მიპასუხეს, რომ ეს იყო საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის წარდგენა. შემდეგი კითხვა, ბუნებრივია, შეეხებოდა იმას, თუ ვინ იყო კანდიდატი და გვქონდა თუ არა მის შესახებ ბიოგრაფიული მონაცემები, ვინაიდან წინ ჯერზე ასე მოხდა [...] მე ეს ინფორმაცია არ მქონდა [...] და არა მარტო მე, არამედ, ასევე, რამდენიმე ჩემს კოლეგას. შესაბამისად, ჩვენ მიზანშეწონილად არ მივიჩნიეთ პლენუმის იმ სხდომაში მონაწილეობა, ვინაიდან, ელემენტარულად, არ ვიცოდით, ვინ იყო კანდიდატი“⁷⁸ - განაცხადა ერთ-ერთმა მოსამართლემ საჯარო დისკუსიის დროს. ამ კონკრეტულმა შემთხვევამ კიდევ ერთხელ დაადასტურა ცვლილების აუცილებლობა. იმისთვის, რომ მოსამართლეს ჰქონდეს ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა, უნდა არსებობდეს შესაბამისი საკანონმდებლო გარანტიები.

⁶⁹ Judiciary System Act, article 111, cl. 4.

⁷⁰ Courts Act, Article 30, cl 4.

⁷¹ იქვე.

⁷² Code of Administrative Justice, Article 20, cl. 2.

⁷³ Plenary Session Manual, Article 31.

⁷⁴ იქვე.

⁷⁵ Law of the Azerbaijan Republic on Courts and Judge, Article 80.

⁷⁶ უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 21 დეკემბრის წერილის (პN-1969-20) შესაბამისად, უზენაესი სასამართლო არ ინახავს ინფორმაციას, რამდენი დღით ადრე ეცნობა მოსამართლეებს სხდომის შესახებ.

⁷⁷ იქვე.

⁷⁸ უზენაესი სასამართლოს მოსამართლის ეკატერინე გასიტაშვილის განცხადება დისკუსიაზე „საკონსტიტუციო სასამართლოს დაკომპლექტება“, 1:37:40-1:40:50 წთ. საიას Facebook-გვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2ZHQWGE>, განახლებულია: 09.12.2020.

ლატივის კანონმდებლობის მიხედვით, პლენუმის დღის წესრიგი მოსამართლეთათვის ცნობილი უნდა გახდეს 15 დღით ადრე (თუმცა, ექსტრემალურ შემთხვევებში, შესაძლებელია, სხდომა დაუყოვნებლივ მოიწვიონ).⁷⁹ უკრაინაში ეს ვადა 5 სამუშაო დღეა,⁸⁰ აზერბაიჯანში - 10.⁸¹ ლატივიაში გადაწყვეტილების პროექტი მოსამართლეებს მინიმუმ 7 დღით ადრე უნდა წარედგინოს.⁸²

10 დღე არის ოპტიმალური ვადა, რა დროც უნდა დადგინდეს სხდომის შესახებ ინფორმაციის წინასწარ გამოქვეყნებისთვის. ეს უნდა აისახოს კანონში. ამდენივე დღით ადრე უნდა გასაჯაროვდეს დღის წესრიგი და პლენუმის წევრებს მიუწოდოს შესაბამისი დოკუმენტები/ინფორმაცია, რომლებიც შეიძლება დასჭირდეთ გადაწყვეტილების მიღებისთვის.

7. პლენუმის მუშაობის საჯაროობა

7.1. სხდომის საჯაროობა

უზენაესი სასამართლოს პლენუმის მუშაობა, „როგორც წესი, საჯაროა“.⁸³ ეს ნიშნავს, რომ სხდომის დახურვა წესიდან გადახვევაა და იგი მიზანშეწონილობის შეფასებას, დასაბუთებას უნდა დაექვემდებაროს. იმ პირობებში, როდესაც სასამართლო სისტემის მიმართ ნდობა დაბალია, საჯაროობის პრინციპი განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს.⁸⁴ მართლმსაჯულების სისტემაში გამჭვირვალობისა და კონფიდენციალურობის პრინციპების სწორი ბალანსის დაცვა აუცილებელია.⁸⁵ ამ უკანასკნელის მიზანი უნდა იყოს კონკრეტული პირების ან სახელმწიფო ინტერესების დაცვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, გამჭვირვალობაზე უარის თქმა დაუშვებელია.

პრობლემის აქტუალურობა განსაკუთრებით ცხადად გამოჩნდა 2019 წლის 12 დეკემბერს, როდესაც საქართველოს პარლამენტმა უზენაესი სასამართლოს მოსამართლე თანამდებობაზე უვადოდ აირჩია,⁸⁶ 16 დეკემბერს კი პლენუმის განახლებული შემადგენლობის პირველი სხდომა გაიმართა.⁸⁷ მის მიმართ ინტერესი, სასამართლოს დაკომპლექტების პერიპეტიების გათვალისწინებით, განსაკუთრებით მაღალი იყო. ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის შესაბამისად, პლენუმს ორგანიზაციულ საკითხებზე უნდა ემსჯელა,⁸⁸ თუმცა კონკრეტული თემა-

⁷⁹ Plenary Session Manual, Articles 12 and 13.

⁸⁰ Law of Ukraine on the Judiciary and Status of Judges, Article 46, cl. 6.

⁸¹ Law of the Azerbaijan Republic on Courts and Judge, Article 80.

⁸² Plenary Session Manual, Articles 12 and 13.

⁸³ საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონი, მე-18 მუხლის მე-7 პუნქტი.

⁸⁴ Human Rights Education and Monitoring Center (EMC), CRRC-Georgia, Institute for Development of Freedom of Information (IDFI), Knowledge and Attitudes of the Population of Georgia towards Judiciary: Results of the Public Opinion Survey, 2018, EMC-ის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/2UHKwK2>, განახლებულია: 21.03.2020.

⁸⁵ Dodson, Scott, Accountability and Transparency in U.S. Courts (December 2, 2018) in Accountability and Transparency in Civil Justice 273 (Daniel Mitidiero ed. Thompson Reuters 2019). SSRN-ის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/3bL4YN3>, განახლებულია: 15.03.2021.

⁸⁶ პარლამენტმა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები აირჩია, 2019 წლის 12 დეკემბერი, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2YeL5Ht>, განახლებულია: 19.06.2020.

⁸⁷ უზენაესი სასამართლოში მოსამართლეთა პლენუმის სხდომა გაიმართა, 2019 წლის 16 დეკემბერი, უზენაესი სასამართლოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/302mKHu>, განახლებულია: 19.06.2020.

⁸⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმის სხდომა, 2019 წლის 13 დეკემბერი, უზენაესი სასამართლოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/30Tswum>, განახლებულია: 19.06.2020.

ტიკა მხოლოდ სხდომაზე გახდა ცნობილი.

სხდომის ოქმის მიხედვით,⁸⁹ პირველი შეკრების დღის წესრიგში იყო სამი საკითხი:

- მოსამართლეთა განაწილება პალატებში;
- სისხლისა და ადმინისტრაციული პალატის თავმჯდომარეების თანამდებობაზე განწესება;
- ახალ მოსამართლეებზე საქმეთა ელექტრონული განაწილება.⁹⁰

მიუხედავად ორგანიზაციული საკითხების განხილვისა, პლენუმის სხდომა დაიხურა.⁹¹ გადაწყვეტილების მიღების დროს, ზეპირი მსჯელობისას, უმრავლესობა დაეყრდნო ორ არგუმენტს. აქედან ერთი სხდომის ოქმშია მითითებული, მეორე კი სახალხო დამცველის მეშვეობით გახდა ცნობილი.

1. მოსამართლე შალვა თაღუმაძემ „ითხოვა პლენუმის სხდომაზე სახალხო დამცველის დასწრების საკითხის კენჭისყრაზე დაყენება და განმარტა, რომ, რადგან პლენუმმა უნდა განიხილოს ორგანიზაციული თემები, მიზანშეწონილი იქნება სხდომის დახურვა. განსახილველი საკითხები არ წარმოადგენს სახალხო დამცველის ინტერესის საგანს.“⁹²
2. სახალხო დამცველის წარმომადგენლის ინფორმაციით, მოსამართლემ სხდომის დახურვა ახლარჩეული მოსამართლეების ღელვასაც დაუკავშირა.⁹³

მიუხედავად ამ არგუმენტების უსაფუძვლობისა, პლენუმმა, 13 ხმით, დახურვის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო.⁹⁴ საკითხს მხარი არ დაუჭირა 6-მა მოსამართლემ,⁹⁵ ხოლო 3-მა თავი შეიკავა.⁹⁶

ინტერვიუებულთა უმრავლესობა ემხრობა პლენუმის სხდომათა დიაობას. მეტიც, ნაწილი ამ მოცემულობით ვერ ხედავს არგუმენტს, რომელიც შეიძლება სხდომის დახურვის საფუძველი გახდეს. სხვების აზრით, მიუხედავად იმისა, რომ დღეს ასეთი საკითხები არ ჩანს, შეიძლება მომავალში არსებობდეს, მათ შორის, საერთაშორისო ხელშეკრულებებთან დაკავშირებული რეკომენდაციების ნაწილში.⁹⁷ ამიტომ, სხდომის დახურვის შესაძლებლობის სრულად შეზღუდვამ, შესაძლოა, პირიქით იმოქმედოს და ბიძგი მისცეს პროცესების გატანას პლენუმის ფორმატის გარეთ.⁹⁸ **საია მიიჩნევს, რომ პლენუმის სხდომა შეიძლება დაიხუროს, თუმცა უნდა განისაზღვროს ამგვარი შემთხვევების მკაფიო ჩამონათვალი.**

⁸⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმის სხდომის ოქმი №7, 2019 წლის 16 დეკემბერი.

⁹⁰ იქვე.

⁹¹ იქვე.

⁹² იქვე.

⁹³ სახალხო დამცველის მოადგილის გიორგი ბურჯანაძის მიერ გავრცელებული ინფორმაცია. ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/3vp0G61>, განახლებულია: 16.12.2019.

⁹⁴ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირეს მოსამართლეებმა: მზია თოდუა, ვასილ როინიშვილი, მერაბ გაბინაშვილი, მირანდა ერემაძე, მამუკა ვასაძე, თამარ ზამბახიძე, შალვა თაღუმაძე, ვლადიმერ კაკაბაძე, ლევან მიქაბერიძე, გიორგი მიქაუტაძე, გიორგი შავლიამიძე, ქეთევან ცინცაძე, ალექსანდრე წულაძე.

⁹⁵ გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირეს მოსამართლეებმა: ბესარიონ ალავიძე, ნინო ბაქაძური, ეკატერინე გასიტაშვილი, პაატა ქათამაძე, ზურაბ ძლიერიშვილი, ლალი ფაფიაშვილი.

⁹⁶ კენჭისყრის დროს თავი შეიკავეს მოსამართლეებმა: მაია ვაჩაძე, ნინო ქადაგიძე, ნუგზარ სხირტაძე.

⁹⁷ ინტერვიუები ნინო ბაქაძურსა და ეკატერინე გასიტაშვილთან.

⁹⁸ ინტერვიუ ნინო ბაქაძურთან.

7.2. გადაწყვეტილებათა პროაქტიულად გამოქვეყნება, ინფორმაციის განთავსება, აუდიოჩანაწერა

საანგარიშო პერიოდში, როგორც წესი, ინფორმაცია პლენუმის სხდომისა და განსახილველი საკითხების შესახებ ქვეყნდებოდა მინიმუმ წინა დღეს. ცხრიდან ერთ შემთხვევაში დღის წესრიგი ცნობილი არ იყო.⁹⁹ მნიშვნელოვანია, **პლენუმის სხდომის დღის წესრიგი ვებგვერდზე სხდომის დანიშნისთანავე განთავსდეს**, რათა საზოგადოებამ იცოდეს, რაზე უნდა იმსჯელოს კოლეგიურმა ორგანომ. დადებითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ პლენუმის სხდომის შესახებ ინფორმაცია ყოველთვის მინიმუმ წინა დღეს იყო ცნობილი. თუმცა, საჭიროა, **ეს საკითხიც რეგლამენტით დარეგულირდეს და ვალა 10 დღემდე გაიზარდოს.**

მნიშვნელოვანია გადაწყვეტილებათა პროაქტიულად გამოქვეყნებაც. წინა წლების პრაქტიკისგან¹⁰⁰ განსხვავებით, ბოლო პერიოდში პლენუმის გადაწყვეტილებების ნაწილის შესახებ ინფორმაცია სასამართლოს ვებგვერდზე იდება, თუმცა არა - ყოველთვის. საანგარიშო პერიოდში, ცხრიდან ექვს შემთხვევაში, გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაცია არ გამოქვეყნებულა.¹⁰¹ მაშინაც კი, როცა ეს პირობა დაცულია, მნიშვნელოვანი პრობლემაა ფორმატი. მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს პლენუმის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ოქმის სახით განთავსებას.¹⁰² პრესრელიზის ფორმით გამოქვეყნება კი (როგორც ეს დღეს ხდება) დაინტერესებულ მხარეს არ აძლევს შესაძლებლობას, ოქმის გამოთხოვნის გარეშე, დროულად მიიღოს მისთვის საჭირო ინფორმაცია.

კანონმდებლობით არ არის ასევე განსაზღვრული სხდომის აუდიოჩანაწერის ვალდებულება. განახლებული პლენუმის პირველ სხდომაზე დაკვირვებამ ამის საჭიროება ცხადყო. სახალხო დამცველის წარმომადგენელი საუბრობდა ერთ-ერთ არგუმენტზე, რომლის გამოც სხდომა დაიხურა, ეს ინფორმაცია კი ოქმში ასახული არ არის. აუცილებელია, კანონმდებლობით გაიწეროს აუდიოჩანაწერის გაკეთების ვალდებულება.

პლენუმის მუშაობის გამჭვირვალობისთვის, საჭიროა, ნორმატიულ დონეზე დადგინდეს სხდომის ოქმების გამოქვეყნებისა და აუდიოჩანაწერის გაკეთების ვალდებულება.

7.3. საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შესახებ ინფორმაციის საჯაროობა

პლენუმი იღებს საკადრო გადაწყვეტილებებსაც.¹⁰³ საკონსტიტუციო სასამართლოს 9 წევრიდან 3-ს ნიშნავს უზენაესი სასამართლო.¹⁰⁴ კანდიდატთა შერჩევის პროცესში საჭიროა სრული გამჭვირვალობა,¹⁰⁵ რათა თითოეულ მოქალაქეს ჰქონდეს რწმენა, რომ მის საქმეს კომპეტენტური მოსამართლეები განიხილავენ. ეს ასევე ხელს

⁹⁹ უზენაესი სასამართლოს პლენუმის 2019 წლის 16 დეკემბრის სხდომა.

¹⁰⁰ იქვე.

¹⁰¹ უზენაესი სასამართლოს პლენუმის 2019 წლის 16 დეკემბრის, 2020 წლის 16 იანვრის, 8 მაისის, 4 სექტემბრის, 24 ოქტომბრისა და 18 დეკემბრის სხდომები.

¹⁰² კუკავა ქ; ტალახაძე მ; ნოზაძე ნ; ბახმაირი დ; დასახელებული ნაშრომი, გვ. 68.

¹⁰³ არ მოიაზრება პალატების შემადგენლობის განსაზღვრისა და თავმჯდომარეების არჩევის უფლებამოსილება.

¹⁰⁴ საქართველოს კონსტიტუცია, მე-60 მუხლის 1-ლი პუნქტი.

¹⁰⁵ ევროპულ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს დასკვნა №10 (2007), §50, ოსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3ea0EFN>, განახლებულია: 19.05.2020.

უწყობს მოსამართლეების დაცვას არასასურველი გარე გავლენებისგან და უზრუნველყოფს იმ კანდიდატთა შერჩევას, რომლებიც კვალიფიკაციის შესაბამის სტანდარტს აკმაყოფილებენ.¹⁰⁶

2020 წელს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში უზენაესი სასამართლოს კოტიტი ორი წევრი დაინიშნა.¹⁰⁷ პირველი იყო მოსამართლე ხვიჩა კვიციანი, რომელიც, მოწოდებების¹⁰⁸ მიუხედავად, თანამდებობაზე საგანგებო მდგომარეობის დროს, 2020 წლის 3 აპრილს განწესდა (რაც პროცესში დაინტერესებული პირების ჩართულობის შესაძლებლობას ამცირებდა). კანდიდატის ვინაობის შესახებ ინფორმაცია თავად პლენუმის წევრებსაც არ ჰქონდათ.¹⁰⁹ პროცესი უარყოფითად შეფასდა.¹¹⁰ თუმცა, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ არ გაითვალისწინა მიღებული გამოცდილება და იგივე განმეორდა 2020 წლის 29 მაისსაც.¹¹¹

ხვიჩა კვიციანის დანიშვნისას პრობლემა იყო სხდომის ღიაობის საკითხიც. მიუხედავად იმისა, რომ საიას მონიტორინგის საშვი დაუშვეს, პანდემიით შექმნილი ვითარების გამო, პლენუმის სხდომაზე დასწრება რისკებს შეიცავდა. ამიტომ, საიამ ითხოვა მისი პირდაპირი ტრანსლირება. პლენუმის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე ცნობილი გახდა, რომ პროცესისთვის თვალის მიდევნება შენობაში დამონტაჟებული მონიტორის საშუალებით შეიძლებოდა, თუმცა გამოსახულება და ხმა იმდენად უხარისხო იყო, რომ დაკვირვება, ფაქტობრივად, ვერ მოხერხდა. შესაბამისად, სხდომამ გამჭვირვალობის ფორმალური კრიტერიუმებიც კი ვერ დააკმაყოფილა.

აუცილებელია, კანდიდატის შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდეს სხდომამდე 10 დღით ადრე, ხოლო კანონმდებლობაში ამის შესახებ ცალკე დათქმა გაკეთდეს.

საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების გარდა, პლენუმი ნიშნავს ასევე უზენაესი სასამართლოს ოფიციალური ბეჭდვითი ორგანოს რედაქტორს,¹¹² სწავლულ მდივანს და ა.შ. ამ შემთხვევაშიც საჭიროა საჯაროობის ისეთივე სტანდარტის დამკვიდრება, როგორც საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებთან დაკავშირებით.¹¹³

8. უზენაესი სასამართლოს რეგლამენტი

პლენუმს არ აქვს რეგლამენტი, რომელიც მისი საქმიანობის წესს დაადგენდა. არსებობს ზოგიერთი პროცედურული საკითხი, რომელიც რეგულირების მიღმაა. მაგალითად, სასამართლოს შემადგენლობასა და თავმჯდომარის შეხედულებებზეა

¹⁰⁶ Enhancing Judicial Transparency an Promoting Public Trust, International Development Law Organization, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2NrnJbL>, განახლებულია: 18.06.2020.

¹⁰⁷ 2020 წლის 3 აპრილს თანამდებობაზე დაინიშნა ხვიჩა კვიციანი, ხოლო 2020 წლის 29 მაისს - ვასილ როინიშვილი.

¹⁰⁸ საიამ მოუწოდებს უზენაესი სასამართლოს პლენუმს, საგანგებო მდგომარეობის დასრულებამდე შეაჩეროს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის დანიშვნის პროცედურები, 2020 წლის 30 მარტი, საიას ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2YqRgHv>, განახლებულია: 12.06.2020.

¹⁰⁹ უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ეკატერინე გასიტაშვილის განცხადება დისკუსიაზე „საკონსტიტუციო სასამართლოს დაკომპლექტება“, 1:37:40-1:40:50 წთ.

¹¹⁰ საიამ უზენაესი სასამართლოს პლენუმის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის დანიშვნის პროცესს უარყოფითად აფასებს, 2020 წლის 3 აპრილი, საიას ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2xT9Kap>, განახლებულია: 27.05.2020.

¹¹¹ საიამ უარყოფითად აფასებს პლენუმის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის დანიშვნის პროცედურებს, 2020 წლის 29 მაისი, საიას ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3cQr5Pv>, განახლებულია: 12.06.2020.

¹¹² საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს კანონი, მე-18 მუხლის მე-2 ნაწილის „თ“ ქვეპუნქტი.

¹¹³ იქვე, „ი“ ქვეპუნქტი.

დამოკიდებული, გამჭვირვალობის როგორი სტანდარტით იმუშავებენ პლენუმის წევრები. ყველა გამოკითხული მიიჩნევს, რომ რეგლამენტის არსებობა აუცილებელია და არ შეიძლება, კოლეგიური ორგანო ამის გარეშე მუშაობდეს. როგორც მოსამართლეები აღნიშნავენ, დიდი ხანია, რეგლამენტის საჭიროებაზე მსჯელობენ უზენაეს სასამართლოშიც.¹¹⁴ ამ მიმართულებით კარგი პრაქტიკა დაინერგა საკონსტიტუციო სასამართლოში, სადაც ორგანიზაციისა და კონსტიტუციური სამართალწარმოების იმ წესებს, რომლებიც ორგანული კანონის ან/და კონსტიტუციის დონეზე არ რეგულირდება, რეგლამენტი განსაზღვრავს.¹¹⁵

ლიტვაში პლენუმის საქმიანობა პლენარული სხდომის სახელმძღვანელო წესებით რეგულირდება.¹¹⁶ მათ თავად პლენუმი იღებს და ვრცელდება იმგვარ საკითხებზეც, როგორებიცაა პლენარული სესიის მოწვევა და მუშაობა, სესიის მიმდინარეობა, გადაწყვეტილების მიღება, დოკუმენტირება და ა.შ. წესები დეტალურად განსაზღვრავს, როდის უნდა ეცნობოს პლენუმის წევრებს სხდომის შესახებ და როდის უნდა გაგზავნოს მათ შესაბამისი დოკუმენტაცია.

აუცილებელია, უზენაესმა სასამართლომ მიიღოს რეგლამენტი და უზრუნველყოს მეტი პროცედურული სიცხადე.

9. პლენუმის უფლებამოსილებები და ვალდებულებები

9.1. სტრუქტურული ერთეულების შემადგენლობების/თავმჯდომარეების განსაზღვრის უფლებამოსილება

უმაღლესი სასამართლოების სტრუქტურული პრობლემები (რამდენი მოსამართლეა სასამართლოში, სად რა პრინციპით არიან ისინი გადანაწილებულნი) მართლაც შესამჩნევია, თუმცა საკითხი არ არის სათანადოდ შესწავლილი.¹¹⁷ ბუნებრივია, სტრუქტურის გავლენა სასამართლოს საქმიანობის ხარისხზე გადაჭარბებულად არ უნდა შეფასდეს, თუმცა არც მისი „წვლილის“ უგულებელყოფა იქნება სწორი.¹¹⁸

უზენაესი სასამართლო შედგება შემდეგი დანაყოფებისგან: პლენუმი, დიდი პალატა, სამოქალაქო საქმეთა პალატა, ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა, სისხლის სამართლის საქმეთა პალატა, სადისციპლინო პალატა, საკვალიფიკაციო პალატა.¹¹⁹ უზენაესი სასამართლოს პლენუმის მანდატი ამ სტრუქტურული ერთეულების დაკომპლექტებასაც მოიცავს.

პლენუმი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით ირჩევს დიდი პალატის შემადგენლობას,¹²⁰ რომელიც განისაზღვრება არანაკლებ 12 მოსამართლით. ზედა ზღვარი დადგენილი არ არის.¹²¹ ეს თავმჯდომარეს აძლევს შესაძ-

¹¹⁴ ინტერვიუები ეკატერინე გასიტაშვილსა და ნინო ბაქაქურთან.

¹¹⁵ საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტი.

¹¹⁶ Plenary Session Manual, ლატვიის უზენაესი სასამართლოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია:

<https://bit.ly/3g5ivhE>, განახლებულია: 16.08.2020.

¹¹⁷ Alarie B; Green A; Iacobucci E; "Is Bigger Always Better? On Optimal Panel Size, with Evidence from the Supreme Court of Canada", SSRN Electronic Journal (2011), გვ. 1; ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2BAeRO1>, განახლებულია: 06.06.2020.

¹¹⁸ იქვე.

¹¹⁹ საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონი, მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი.

¹²⁰ იქვე, მე-17 მუხლის მე-2 პუნქტი.

¹²¹ იქვე.

ლებლობას, დიდი პალატა მხოლოდ თავისი თანამოაზრეებით დააკომპლექტოს, ხოლო მისთვის არასასურველი კანდიდატები პლენუმს საერთოდ არ წარუდგინოს. დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ პლენუმს დასამტკიცებლად წარუდგინა ყველა მოსამართლე. ამ ეტაპზე ყველა მათგანი დიდი პალატის შემადგენლობაშია და საქმეები მათზე ელექტრონული წესით ნაწილდება.¹²² თუმცა, ეს მხოლოდ თავმჯდომარის კეთილ ნებაზე არ უნდა იყოს დამოკიდებული. **თვითმმართველობის ხარისხის გაზრდისთვის, უმჯობესია, საკანონმდებლო დონეზე კანდიდატის წარდგენის უფლება პლენუმის ყველა წევრს ჰქონდეს.**

პლენუმი წევრთა წარდგინებით ირჩევს უზენაესი სასამართლოს პალატების შემადგენლობებსა და თავმჯდომარეებს.¹²³ სტრუქტურულ ერთეულებსა და თავმჯდომარეებთან მიმართებით იგივე მიდგომაა ბულგარეთში,¹²⁴ ესტონეთში,¹²⁵ უკრაინაში¹²⁶ და აზერბაიჯანში.¹²⁷ ლატვიაში პლენუმის უფლებამოსილება მხოლოდ დეპარტამენტების თავმჯდომარეების არჩევით შემოიფარგლება.¹²⁸ ჩხეთში უზენაეს ადმინისტრაციულ სასამართლოში პლენუმი თავმჯდომარის წარდგინებით განსაზღვრავს სასამართლოს დივიზიონთა რაოდენობას.¹²⁹

საანგარიშო პერიოდში განახლებული შემადგენლობის პირველ სხდომაზე პლენუმმა ახალარჩეული მოსამართლეები სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის პალატებში განაწესა.¹³⁰ ამავე სხდომაზე აირჩიეს პალატების თავმჯდომარეები. მოსამართლე ქეთევან ცინცაძემ ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის თავმჯდომარედ დაასახელა ნინო ქადაგიძე, ხოლო მერაბ გაბინაშვილმა სისხლის სამართლის საქმეთა პალატის თავმჯდომარედ შალვა თაღუმაძე წარადგინა. სხვა კანდიდატები არ დასახელებულა და პლენუმს ამ საკითხზე დამატებით არ უმსჯელია.

2019 წლის 19 დეკემბრის სხდომაზე საკვალიფიკაციო და სადისციპლინო პალატის წევრები აირჩიეს. შალვა თაღუმაძის წარდგინებით მამუკა ვასაძე დაინიშნა საკვალიფიკაციო პალატის წევრად, ხოლო ლევან მიქაბერიძის მიერ დასახელებული მირანდა ერემაძე - სადისციპლინო პალატის წევრად.

8 მაისის სხდომაზე საკვალიფიკაციო პალატაში ვლადიმერ კაკაბაძის წარდგინებით დაინიშნა ლევან მიქაბერიძე. 4 სექტემბრის სხდომაზე ქეთევან ცინცაძემ დაასახელა ალექსანდრე წულაძე, რომელიც საკვალიფიკაციო პალატის წევრად აირჩიეს. ამავე პალატის თავმჯდომარე, ნინო ქადაგიძის წინადადების საფუძველზე, გახდა ზურაბ ძლიერიშვილი. ლევან მიქაბერიძის წარდგინებით სადისციპლინო პალატაში განწესდა მერაბ გაბინაშვილი, რომელიც, იმავდროულად, პალატის თავმჯდომარედ დაინიშნა.

¹²² უზენაესი სასამართლოს პლენუმის 2020 წლის 8 მაისის დადგენილება №27.

¹²³ საერთო სასამართლოების შესახებ კანონი, მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

¹²⁴ Judiciary System Act, Article 111, cl. 2 (1).

¹²⁵ Courts Act, Article 28, cl. 4.

¹²⁶ Law of Ukraine on the Judiciary and Status of Judges, Article 46 (2).

¹²⁷ Law of the Azerbaijan Republic On Courts and Judges, Article 80.

¹²⁸ Law of the Republic of Latvia On Judicial Power, Section 48, cl. 2.

¹²⁹ Code of Administrative Justice, Article 15, cl. 2.

¹³⁰ სისხლის სამართლის საქმეთა პალატა განისაზღვრა შედეგი შემადგენლობით: მერაბ გაბინაშვილი, მამუკა ვასაძე, შალვა თაღუმაძე, ლალი ფაფიაშვილი; სამოქალაქო საქმეთა პალატა განისაზღვრა შემდეგი შემადგენლობით: მირანდა ერემაძე, თამარ ზამბახიძე, ვლადიმერ კაკაბაძე, ლევან მიქაბერიძე, გიორგი მიქაუტაძე; ადმინისტრაციული პალატა განისაზღვრა შემდეგი შემადგენლობით: მაია ვაჩაძე, ნუგზარ სხირტლაძე, ნინო ქადაგიძე, ქეთევან ცინცაძე, ალექსანდრე წულაძე.

9.2. პოლიტიკური შინაარსის უფლებამოსილებები

უზენაესი სასამართლო, სამართლებრივის გარდა, პოლიტიკურ კომპეტენციებსაც ფლობს. ეს უფლებამოსილებები პირდაპირ არ უკავშირდება მართლმსაჯულების განხორციელებას, თუმცა გავლენას ახდენს სასამართლო ხელისუფლების ფუნქციონირებასა და პოლიტიკის ფორმირებაზე. სწორედ ეს განასხვავებს მას ქვედა ინსტანციის სასამართლოებისგან და, გარკვეულწილად, ზრდის მის როლს საერთო სასამართლოების სისტემაში.

კანონის შესაბამისად, ამ კომპეტენციების ქვეშ მოიაზრება პლენუმის უფლება, დანიშნოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამი წევრი,¹³¹ ამავე სასამართლოში შეიტანოს წარდგინება კონკრეტულ საკითხზე,¹³² ასევე პრეზიდენტს ან მთავრობას მიმართოს რეკომენდაციით საერთაშორისო ხელშეკრულებების დადების თაობაზე.¹³³

საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა დანიშვნა

ვენეციის კომისიის კლასიფიკაციის შესაბამისად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ჰიბრიდულ მოდელს განეკუთვნება.¹³⁴ ეს გულისხმობს, რომ მისი დაკომპლექტების პროცესში ხელისუფლების სამივე შტო მონაწილეობს. სასამართლოს 9 წევრიდან 3-ს ნიშნავს უზენაესი სასამართლო.¹³⁵ გადაწყვეტილებას იღებს პლენუმი.¹³⁶ ამ პროცედურაში არის საკითხები, რომელთა მოგვარებაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებდა სამართლებრივ რეალობას და გაზრდიდა ლეგიტიმაციის ხარისხს. მაგალითად, კანდიდატს ასახელებს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.¹³⁷ თუმცა, მისთვის ამ უფლებამოსილების ექსკლუზიურად მინიჭების საჭიროება არ არსებობს.¹³⁸ კანდიდატის წარდგენა უნდა შეეძლოს სამ მოსამართლეს ერთობლივად. საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის დასანიშნად საჭიროა პლენუმის სხდომაზე დამსწრეთა 2/3-ის მხარდაჭერა. თავად პლენუმი უფლებამოსილია, თუ სხდომას წევრთა 2/3 ესწრება.¹³⁹

შესადარებელი ქვეყნებიდან საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის დანიშვნაში ყველაზე მეტად ჩართულია ლატვიის უზენაესი სასამართლოს პლენუმი. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებს ნიშნავს სეიმი (ლატვიის საკანონმდებლო ორგანო).¹⁴⁰ თუმცა, 7-დან 2 კანდიდატს მას უზენაესი სასამართლოს პლენუმი წარუდგენს.¹⁴¹ ის კანდიდატს არჩევს აუცილებლად საერთო სასამართლოების მოსამართლეთაგან.¹⁴² სხდომა უფლებამოსილია, თუ მას პლენუმის სრული შემადგენლობის 2/3

¹³¹ საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონი, მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

¹³² იქვე, „დ“ ქვეპუნქტი.

¹³³ იქვე, „ვ“ ქვეპუნქტი.

¹³⁴ The Composition of Constitutional Courts, Reports and Studies on Constitutional Justice, Strasbourg, 14 April 2020, European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), გვ. 5; ვენეციის კომისიის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია : <https://bit.ly/2Aw0KJl>, განახლებულია: 23.03.2021.

¹³⁵ საქართველოს კონსტიტუცია, მე-60 მუხლის 1-ლი პუნქტი.

¹³⁶ საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონი, მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

¹³⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ორგანული კანონი, მე-7 მუხლის მე-2 პუნქტი.

¹³⁸ კუკავა ქ; ტალახაძე მ; ნოზაძე ნ; ბახმაირი ი; დასახელებული ნაშრომი, გვ. 48.

¹³⁹ საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს კანონი, მე-18 მუხლის მე-4 პუნქტი.

¹⁴⁰ სეიმი (პარლამენტი) შედგება 100 წევრისგან, The Constitution of the Republic of Latvia, Article 5.

¹⁴¹ იქვე.

¹⁴² Law of the Republic of Latvia on Judicial Power, Section 49.

ესწრება.¹⁴³ გადაწყვეტილების მიღებას კი დამსწრეთა უმრავლესობა სჭირდება.¹⁴⁴

ლატვიაში პლენუმის მიერ გადაწყვეტილების მიღებისთვის გათვალისწინებული დაბალი კვორუმი შეიძლება იმით გამართლდეს, რომ პირის მოსამართლედ განწესებისთვის აუცილებელია სხვა შტოს - სეიმის მხარდაჭერა. საქართველოში კი, ვინაიდან ეს უფლებამოსილება ერთი ინსტიტუტის, პლენუმის ხელშია, **მაღალი ლეგიტიმაციისა და კონსენსუსზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო უნდა იყოს არა დამსწრეთა 2/3-ის, არამედ სიითი შემადგენლობის 2/3-ის თანხმობა.**

საკონსტიტუციო სასამართლოსთვის წარდგინებით მიმართვის უფლებამოსილება საერთო სასამართლოს მიერ კონკრეტული საქმის განხილვის პროცესში კანონი უშვებს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის წარდგინებით მიმართვის შესაძლებლობას.¹⁴⁵ ეს უფლებამოსილება აქვს პლენუმსაც,¹⁴⁶ რომელიც 2014 წლის შემდგომ არ გამოუყენებია.¹⁴⁷ საკონსტიტუციო სასამართლო „საერთო სასამართლოს წარდგინების საფუძველზე იხილავს იმ ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის საკითხს, რომელიც კონკრეტული საქმის განხილვისას უნდა გამოიყენოს საერთო სასამართლომ“.¹⁴⁸ ამ ჩანაწერის მიხედვით, **წარდგინების უფლება აქვს მხოლოდ კონკრეტული საქმის განხილველ სასამართლოს. პლენუმს კი მართლმსაჯულების განხორციელების უფლებამოსილება არ გააჩნია. ის არ განიხილავს საქმეებს, შესაბამისად, მისი ეს კომპეტენცია არაკონსტიტუციურია და უნდა გაუქმდეს.**

აზერბაიჯანში¹⁴⁹ პლენუმს უფლება აქვს, მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს, თუმცა ის, იმავდროულად, ითავსებს მართლმსაჯულების ფუნქციებსაც. შესაბამისად, ეს დასაშვები და გამართლებულია.¹⁵⁰ ბულგარეთში, სადაც პლენუმი სამართალშეფარდებით საქმიანობას არ ეწევა, ეს კომპეტენცია არ გააჩნია.¹⁵¹ მიუხედავად იმისა, რომ, კლასიკური გაგებით, არც უკრაინის უზენაესი სასამართლოს პლენუმი ახორციელებს მართლმსაჯულებას, საქართველოს მსგავსად, მასაც აქვს საკონსტიტუციოსთვის მიმართვის უფლებამოსილება.¹⁵²

რეკომენდაციით მიმართვის უფლებამოსილება

პლენუმს უფლება აქვს, მიმართოს მთავრობას ან პრეზიდენტს უზენაესი სასამართლოს კომპეტენციის ფარგლებში შემავალ საკითხებზე საერთაშორისო ხელშეკრულებების დადებისთან დაკავშირებით.¹⁵³ 2012 წლის შემდეგ მას ამ უფლებით არ უსარგებლია.¹⁵⁴ თუმცა, მისი გამოყენების შესახებ ინფორმაცია არც მანამდე მოიპოვება.¹⁵⁵ უნდა ჰქონდეს თუ არა პლენუმს ასეთი უფლებამოსილება, როდესაც არ-

¹⁴³ Plenary Session Manual, Article 5.

¹⁴⁴ იქვე, Article 31.

¹⁴⁵ საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონი, მე-19 მუხლის მე-2 პუნქტი.

¹⁴⁶ საერთო სასამართლოების შესახებ კანონი, მე-18 მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი.

¹⁴⁷ კუკავა ქ; ტალახაძე მ; ნოზაძე ნ; ბახმაირი ლ; დასახელებული ნაშრომი, გვ. 62.

¹⁴⁸ საქართველოს კონსტიტუცია, მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი.

¹⁴⁹ The Constitution of the Republic of Azerbaijan, Article 130, cl. 3.

¹⁵⁰ Law of the Azerbaijan Republic On Courts and Judges, Article 78.

¹⁵¹ ბულგარეთის საერთო სასამართლოების და საკონსტიტუციო სასამართლოს კანონებში ასეთი უფლებამოსილება არ იკვეთება.

¹⁵² Law of Ukraine on the Judiciary and Status of Judges, Article 46, cl. 5.

¹⁵³ საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს კანონი, მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი.

¹⁵⁴ უზენაესი სასამართლოს წერილი, №პ-1227-20, 21.08.2020.

¹⁵⁵ ინტერვიუ ეკატერინე გასიტაშვილთან.

სებობს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, რომელშიც ყველა ინსტანციის წარმომადგენლობაა თავმოყრილი? - ამ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობაა ინტერვიუებულთა შორის. ერთი ჯგუფის პოზიციით, ეს ჩანაწერი, წარდგინებით მიმართვის შესაძლებლობის მსგავსად, არის ნორმა, რომელიც რეფორმებს ვერ დაეწია. შესაბამისად, ეს უფლებამოსილება უნდა გააჩნდეს საბჭოს, როგორც კონსტიტუციურ ორგანოს და ასეთი კომუნიკაცია სწორედ მისი გავლით უნდა ხორციელდებოდეს.¹⁵⁶ გამოკითხულთა მეორე ნაწილის აზრით კი პროცესუალურ,¹⁵⁷ ასევე უცხო ქვეყნის გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების საკითხებზე,¹⁵⁸ შესაძლებელია, პლენუმს ეს კომპეტენცია შეუნარჩუნდეს. **საია პირველ ჯგუფს ემხრობა და მიიჩნევს, რომ პლენუმის ეს უფლება უნდა ჩამოერთვას.**

9.3. უზენაესი სასამართლო, როგორც დოქტრინალური ინსტანცია - პლენუმის როლი

საკასაციო ინსტანციის ერთ-ერთი ძირითადი დანიშნულება სამართლის ნორმათა განმარტება და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებაა. სწორედ ამ ფუნქციიდან გამომდინარე, უზენაესმა სასამართლომ უნდა იზრუნოს არა მხოლოდ მართლმსაჯულების კონკრეტული პრობლემების გადაჭრაზე, არამედ სამართლებრივი აზროვნების განვითარებაზეც. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს პლენუმის უფლებამოსილება:

- შექმნას უზენაესი სასამართლოს ოფიციალური ბეჭდვითი ორგანო. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით დანიშნოს მისი რედაქტორი და სარედაქციო კოლეგია;¹⁵⁹
- ჩამოაყალიბოს უზენაესი სასამართლოს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო, დაამტკიცოს მისი დებულება, შემადგენლობა და სწავლული მდივანი;¹⁶⁰
- დაწეროს იმგვარი სტრუქტურული მოწყობა, რომელიც გააძლიერებს ანალიტიკურ გუნდს.¹⁶¹

ამ მიმართულებით არსებულ პრობლემებზე მოსამართლეებმა პლენუმის ერთ-ერთ სხდომაზე გაამახვილეს ყურადღება. ისაუბრეს უფლებამოსილებათა დუბლირების შემთხვევებსა და ანალიტიკური დოკუმენტების ხარისხზეც. გარდა ამისა, განიხილეს რეორგანიზაციის საკითხები¹⁶² და წარადგინეს მისი გეგმა, რომლის მიმართ ბევრი კითხვა და კრიტიკა არსებობდა.¹⁶³ თუმცა, საანგარიშო პერიოდში ამ თემებზე მსჯელობას პლენუმის მხოლოდ ერთი სხდომა დაეთმო. **უმჯობესი იქნება, თუ პლენუმი გაააქტიურებს ამ მიმართულებით მუშაობას და მოსამართლეთა ჩართულობა მხოლოდ ერთი სხდომით არ შემოიფარგლება.**

¹⁵⁶ ინტერვიუ სოფო ვერძუელთან.

¹⁵⁷ ინტერვიუ ნუნუ კვანტალიანთან.

¹⁵⁸ ინტერვიუები ეკატერინე გასიტაშვილსა და ნინო ბაქაქურთან.

¹⁵⁹ საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონი, მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი.

¹⁶⁰ იქვე, „ი“ ქვეპუნქტი.

¹⁶¹ იქვე, „ლ“ ქვეპუნქტი.

¹⁶² საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის 2020 წლის 20 ივლისის ბრძანება „საქართველოს უზენაესი სასამართლოს აპარატის რეორგანიზაციის გამო განსახორციელებელი ღონისძიებების გეგმის განსაზღვრის შესახებ“.

¹⁶³ შალვა თაღუმაძე რეგლამენტის პროექტთან დაკავშირებით, 2020 წლის 4 სექტემბრის პლენუმის სხდომა.

9.4. ადმინისტრაციული ხასიათის უფლებამოსილებები

უზენაესი სასამართლოს წევრის თანამდებობრივი სარგოს ყოველთვიური დანამატის ოდენობის განსაზღვრა

პლენუმის ადმინისტრაციული ფუნქციებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უზენაესი სასამართლოს წევრის თანამდებობრივი სარგოს ყოველთვიური დანამატის ოდენობის განსაზღვრა.¹⁶⁴

სოციალური გარანტიები დამოუკიდებლობასთან კავშირში განიხილება. არაადეკვატური დაფინანსება აძლიერებს კორუფციის რისკებს.¹⁶⁵ საერთაშორისო აქტებიც მკაცრად მიუთითებს სათანადო დაფინანსების საჭიროებაზე. გაეროს ძირითადი პრინციპების მიხედვით, თითოეული ქვეყანა ვალდებულია, გამოყოს საკმარისი რესურსები, რათა მოსამართლემ შეძლოს თავისი ფუნქციების შესრულება.¹⁶⁶ იმავე მიზანს დათქმას შეიცავს ევროპის ქარტია მოსამართლეთა სტატუსის შესახებ.¹⁶⁷ ასევე, ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს განცხადებით, დაფინანსების საკითხი მჭიდრო კავშირშია მოსამართლეების დამოუკიდებლობასთან.¹⁶⁸

თავისთავად, მოსამართლეთა ანაზღაურების ადეკვატურობა არ არის სადავო. კანონში ამ ჩანაწერის არსებობა სხვა მიმართულებით არის პრობლემური:

1. არ არის დადგენილი ობიექტური კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზეც განისაზღვრება დანამატების გაცემის მიზანშეწონილობა და რაოდენობა. ხოლო კონტროლის მექანიზმის არარსებობა ზრდის სახელმწიფო რესურსის უსამართლოდ განაწილების რისკს;¹⁶⁹
2. პლენუმის ფართო დისკრეციის გამო, დანამატების არსებობამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას მოსამართლეთა დამოუკიდებლობას.¹⁷⁰

ანტიკორუფციული რეფორმების მეოთხე რაუნდის შეფასებისას გაცემული რეკომენდაციების თანახმად, სასამართლოს დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად მოსამართლის შრომის ანაზღაურებიდან უნდა გამოირიცხოს ნებისმიერი დისკრეციული დანამატი.¹⁷¹ ვენეციის კომისიის რეკომენდაციის მიხედვით, მოსამართლეთა სარგებელი, რომელიც დისკრეციულ ელემენტს შეიცავს, ეტაპობრივად უნდა გაუქმდეს.¹⁷² ყველა გამოკითხული, ფიქრობს, რომ დანამატების გაცემის შესაძლებლობა და ოდენობა ნორმატიულ დონეზე უნდა განისაზღვროს.

რაც შეეხება შესაძარებელი ქვეყნების პრაქტიკას, ბულგარეთის,¹⁷³ ესტონეთის,¹⁷⁴

¹⁶⁴ საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი.

¹⁶⁵ International Principles on the Independence and Accountability of Judges, Lawyers and Prosecutors, ractioners Guide No.1, The International Commission of Jurists (ICJ), ICJ-ის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2WRQ9R2>, განახლებულია: 20.07.2020.

¹⁶⁶ UN Basic Principles on the Independence of the Judiciary, Principle 7.

¹⁶⁷ Council of Europe, European Charter on the statute for judges, DAJ/DOC (98) 23, operative para. 1.6.

¹⁶⁸ ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) დასკვნა №2 (2001).

¹⁶⁹ აბაშიძე ა; არგანაშვილი ა; ბერაია გ; ვერძელი ს; კუკავა ქ; შერმადინი ო; ციმაკურიძე ე; სასამართლო სისტემა: რეფორმები და პერსპექტივები, კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის, თბილისი 2017, გვ. 125; კოალიციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2ZW8P4g>, განახლებულია: 22.07.2020.

¹⁷⁰ იქვე.

¹⁷¹ კუკავა ქ; ტალახაძე მ; ნოზაძე ნ; ბახმაირი ლ; დასახელებული ნაშრომი, გვ. 64.

¹⁷² იქვე.

¹⁷³ Judiciary System Act, Article 111.

¹⁷⁴ Courts Act, Article 30.

ლატივის,¹⁷⁵ ჩეხეთისა¹⁷⁶ და აზერბაიჯანის¹⁷⁷ უზენაესი სასამართლოების პლენუმები არ მონაწილეობენ ფინანსებთან დაკავშირებულ არცერთ გადაწყვეტილებაში. უკრაინაში პლენუმს აქვს უზენაესი სასამართლოს ბიუჯეტის დადასტურების უფლებამოსილება,¹⁷⁸ თუმცა ეს ეხება მის მთლიან ბიუჯეტს და არა - ცალკეული მოსამართლის შრომის ანაზღაურებას.

გარდა მიზანშეწონილობისა, მოსამართლეების აზრით, ამ უფლებამოსილების გამოყენება, გარკვეულწილად, უხერხულობასთან არის დაკავშირებული. 2019 წლის 19 დეკემბრის სხდომაზე მოსამართლეთათვის დანამატის განსაზღვრის საკითხზე პლენუმმა იმსჯელა. უზენაესი სასამართლოს მოვალეობის შემსრულებლის თქმით, „დანამატებთან დაკავშირებით სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლეებმა განაცხადეს, რომ უხერხულობის თავიდან ასარიდებლად თავდაც არ მიიღებდნენ დანამატს. თუმცა, ვფიქრობ, რომ არ იქნება სამართლიანი. უზენაესი სასამართლოში მოსამართლეთა ოდენობა წლიდან წლამდე მცირდება. უკვე წელიწადზე მეტია, როგორც სამოქალაქო, ისე ადმინისტრაციული პალატის მოსამართლეები, ელექტრონული წესით განაწილებული საქმეების გარდა, სისხლის სამართლის საქმეებსაც განიხილავენ და ორმაგ შრომას ეწვიან. ყოველთვიური დანამატი გაიცემოდა არსებული საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში და, ამჯერადაც, თუ შევთანხმდებით, იმავენაირად იქნება“. გიორგი მიქაუტაძისა და შალვა თაღუმაძის პოზიციით, დანამატი არ უნდა გაიცეს ახალდანიშნულ მოსამართლეებზე.¹⁷⁹ საბოლოოდ, პლენუმის გადაწყვეტილებით, უზენაესი სასამართლოს 10 მოსამართლისთვის განისაზღვრა დანამატი ერთი თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.

2020 წლის 16 იანვრის სხდომაზე პლენუმმა განიხილა 2020 წლის დანამატების საკითხი, თუმცა ამჯერად მას მსჯელობა არ მოჰყოლია. სხდომაზე არცერთი კითხვა არ დასმულა და არც შენიშვნა გამოთქმულა.

საია მიიჩნევს, რომ პლენუმისთვის ამ უფლებამოსილების მინიჭება მიზანშეუწონელია და ეს საკითხი კანონმდებლობით უნდა დარეგულირდეს.

ადმინისტრაციული ხასიათის სხვა უფლებამოსილებები

პლენუმის კომპეტენციას მიეკუთვნება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით აპარატის რეგლამენტის, მოხელეთა და სხვა მუშაკთა თანამდებობრივი სარგოების განაკვეთების დამტკიცება.¹⁸⁰ ამ პროცესში მნიშვნელოვანია სასამართლოს მენეჯერის როლი, რომელმაც თავმჯდომარეს და პლენუმს უნდა მიაწოდოს ამომწურავი ინფორმაცია არსებული ვითარების შესახებ. პლენუმის ერთ-ერთ სხდომაზე მისი გამოსვლა მოსამართლეებმა დადებითად შეაფასეს.¹⁸¹

პლენუმი უფლებამოსილია, მოისმინოს და შეაფასოს უზენაესი სასამართლოს პალატების თავმჯდომარეთა მოსაზრებები, აპარატის სტრუქტურულ ქვედანაყოფთა

¹⁷⁵ Section 49. The Plenary Session and its Competence.

¹⁷⁶ Code of Administrative Justice, Article 20, cl. 5.

¹⁷⁷ Law of the Azerbaijan Republic On Courts and Judges, Article 79.

¹⁷⁸ Law of Ukraine on the Judiciary and Status of Judges, Article 46, cl. 10.

¹⁷⁹ საუბარია 2019 წლის 12 დეკემბერს თანამდებობაზე დანიშნულ მოსამართლეებზე.

¹⁸⁰ საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი.

¹⁸¹ ნინო ბაქაური და ეკატერინე გასიტაშვილი ინტერვიუებში აღნიშნავენ, რომ მათთვის ინფორმაციული და საინტერესო იყო პლენუმის სხდომაზე უზენაესი სასამართლოს მენეჯერის მოსმენა.

ხელმძღვანელების ანგარიშები, ასევე, განიხილოს მათი საქმიანობის სრულყოფასთან დაკავშირებული წინადადებები.¹⁸² **უმჯობესია, აპარატის სტრუქტურულ ქვედანაყოფთა ხელმძღვანელების ანგარიშების ნაცვლად, პლენუმმა მოუსმინოს სასამართლოს მენეჯერს, რომელიც სრულ სურათზე ფლობს ინფორმაციას.**

ის ფაქტი, რომ პლენუმს ხსენებული უფლებამოსილებები გააჩნია, თავისთავად, მისაღებია, ვინაიდან ეს არის ერთადერთი ფორმატი, სადაც მოსამართლეებს მსგავსი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ. თუმცა, საჭიროა მეტი პროცედურული სიცხადე, მათ შორის: რა სიხშირით უნდა მოხდეს ანგარიშების მოსმენა, რა ინფორმაციას უნდა მოიცავდეს ისინი, როგორი უნდა იყოს მათი წარდგენის ფორმა, უნდა მომზადდეს თუ არა ანგარიში წერილობითი სახითაც და ა.შ. ამისთვის კი, აუცილებელია, პლენუმს ჰქონდეს რეგლამენტი.

10. მართლმსაჯულების მდგომარეობის შესახებ ანგარიში

პლენუმი ვალდებულია, მოამზადოს და გამოაქვეყნოს ყოველწლიური ანგარიში საქართველოში მართლმსაჯულების მდგომარეობის შესახებ.¹⁸³ თუმცა, არ არის დადგენილი, რა ინფორმაციას უნდა მოიცავდეს ეს დოკუმენტი. საკასაციო სასამართლო, თავისი ფუნქციებიდან გამომდინარე, ანგარიშს უნდა წარადგენდეს. ის ამ ვალდებულებას ასრულებს კიდევ, მაგრამ - კანონის მოთხოვნებიდან გადახვევით. **უმჯობესია, იმპლემენტაცია და ნორმატიული რეგულირება თანხვედრაში იყოს. პლენუმს კანონით დაევალოს მოხსენების წარდგენა მხოლოდ უზენაესი სასამართლოს საქმიანობასთან დაკავშირებით, ხოლო ქვეყანაში მართლმსაჯულების მდგომარეობის შესახებ ანგარიშს საბჭო აქვეყნებდეს.**

11. რეკომენდაციები

შემადგენლობის რელევანტურობა, საჯაროობა, მოსამართლეების ინფორმირებულობა, რიგ შემთხვევებში პროცედურული ბუნდოვანება - ის მნიშვნელოვანი გამოწვევებია, რომელიც უზენაესი სასამართლოს პლენუმთან დაკავშირებით არსებობს. დღეს არსებული უფლებამოსილებების ნაწილი პლენუმს არ უნდა ჰქონდეს, ნაწილი კი საკმარისად რეგლამენტირებული არ არის. აუცილებელია პლენუმის უფლებამოსილებების ხელახლა გააზრება და მისი როლის მორგება არსებულ საკანონმდებლო რეალობასთან. იმ ხარვეზების აღმოსაფხვრელად, რომლებიც კვლევის დროს გამოვლინდა, შემუშავდა შემდეგი წინადადებები:

- პლენუმის შემადგენლობიდან ამოირიცხოს სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეები და ის მხოლოდ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებით დაკომპლექტდეს;
- შემუშავდეს პლენუმის რეგლამენტი;
- პლენუმის წევრების მიერ სხდომის მოწვევის შემთხვევაში განისაზღვროს თავმჯდომარის მიერ სხდომის დანიშნვის გონივრული ვადა;
- დადგინდეს იმ შემთხვევების ვიწრო ჩამონათვალი, როდესაც დასაშვებია იქნება პლენუმის სხდომის დახურვა;

¹⁸² საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონი, მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი.

¹⁸³ იქვე, „მ“ ქვეპუნქტი.

- პლენუმის წევრებსა და საზოგადოებას სხდომის თარიღისა და დღის წესრიგის შესახებ ეცნობოს 10 დღით ადრე;
- განისაზღვროს პლენუმის სხდომის ოქმის საჯაროდ განთავსების, აუდიოჩანაწერის გაცემებისა და გამოქვეყნების ვალდებულება;
- საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის არჩევისთვის საჭირო ხმების რაოდენობა დამსწრეთა 2/3-დან გაიზარდოს სიითი შემადგენლობის 2/3-მდე. კანდიდატის წარდგენის უფლება უნდა ჰქონდეს პლენუმის ყველა წევრს;
- პლენუმის ყველა წევრს უნდა ჰქონდეს დიდ პალატაში მოსამართლის წარდგენის უფლება;
- პლენუმს ჩამოერთვას საკონსტიტუციო სასამართლოსთვის წარდგინებით მიმართვის უფლებამოსილება;
- პლენუმის უფლება, უზენაესი სასამართლოს კომპეტენციისთვის მიკუთვნებულ საკითხებზე საერთაშორისო ხელშეკრულებების დადების თაობაზე მიმართოს მთავრობას ან პრეზიდენტს, უნდა გადაეცეს საბჭოს;
- პლენუმს ჩამოერთვას დანამატების განსაზღვრის უფლებამოსილება და ნებისმიერი ანაზღაურება მოსამართლემ მიიღოს კანონით გაწერილი პროცედურებისა და კრიტერიუმების შესაბამისად;
- დაზუსტდეს მართლმსაჯულების მდგომარეობის შესახებ ანგარიშის შინაარსი. მასში არ უნდა შევიდეს საერთო სასამართლოების ძირითადი სტატისტიკური მონაცემები.